ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5725419

ნომერი: AR1866916

თარიღი : 09.12.2021

გაცემის თარიღი : 14.12.2021

გაცნობის თარიღი : 14.12.2021

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, მ. ჯავახიშვილის ქუჩისა და მტკვრის მარჯვენა სანაპიროს მიმდებარედ, / ქალაქი თბილისი, ზვიად გამსახურდიას სანაპირო N10, ქალაქი თბილისი დაღმართი საქანელა N9, ზვიად გამსახურდიას სანაპირო N6, (კაფე-ბარი გორაძირი);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ოთარი ნარჩემაშვილი პ/ნ 01007015722
- წერეთლის 132, ბინა 19

ნომენკლატურა :

- სასწრაფო დახმარების პუნქტი
- III კლასი
- დემონტაჟი
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შპს ლინქსერ
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 204958929
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ვლადიმერ ცხვირავაშვილი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01024020731

.სადემონტაჟო ობიექტის ტექნიკურ ეკონომიკური მაჩვენებლები.:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 2194.0

- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 1708.03
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 8196.0
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 7790.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 406.0
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 1455.0
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 1395.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 60.0

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული 2021 წლის 08 დეკემბრის AR1866916 განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში, მ. ჯავახიშვილის ქუჩისა და მტკვრის მარჯვენა სანაპიროს მიმდებარედ/ზვიად გამსახურდიას სანაპირო N10/საქანელას დაღმართი N9/ზვიად გამსახურდიას სანაპირო N6-ში არსებული შენობანაგებობების 1 (3) დემონტაჟის პროექტის შეთანხმებისა და ნებართვის გაცემის საკითხს.
„კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, „კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოებისა და არქეოლოგიური სამუშაოების ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 26 მარტის N137 დადგენილების, ,,საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსგან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის უფლებამოსილების დელეგირების თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 აპრილის N91 განკარგულებით დამტკიცებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ"
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 აპრილის N9-34 დადგენილების თანახმად საკითხი განიხილა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილმა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭომ (ოქმი N38, 13.12.2021წ.), რომლის გადაწყვეტილების საფუძველზეც აღნიშნულ საკითხს მიეცა დადებითი შეფასება.
პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გამოვლინდა ხარვეზები, კერძოდ:
1.წარმომადგენელის არსებობის შემთხვევაში მინდობილობა/რწმუნებულება. -> .მინდობილობა/რწმუნებულების pdf ფაილი. : არ არის წარმოდგენილი არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოები დღეის მდგომარეობით, დათარიღებული (ატვირთულია ოქტომბრის თვის ფოტოები);
2...დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტი. -> .დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტის pdf ფაილი. :
- დაზუსტდეს სადემონტაჟო ობიექტის ფუქნცია;
- გეგმებზე მითითებული ფართების ჯამი მოვიდეს შესაბამისობაში საჯარო რეესტრის მონაცემებთან. გაგმებზე ექსპოლიკაციის სახით გამოტანილი იქნეს დაჯამებული ფართები;
- ყველა გეგმაზე იქნებს დატანილი ჭრილის ხაზები (ორივე ჭრილის ხაზი);
- ფასადების გრაფიკული ნახაზები მოვიდეს შესაბამისობაში არსებულ სიტუაციასთან;
- ეტაპებში აღნიშნულია „ჩრდილოეთით არსებული ღობის დემონტაჟი"; სადემონტაჟო ღობე მონიშნული იქნეს გენგეგმაზე და წარმოდგენილი იქნეს შესაბამისი გრაფიკული ნახაზები.
- წარმოდგენილი იქნეს საფარიანი ღობის სექმა (ჭრილი) საკადასტრო საზღვრების ჩვენებით; ღობის კონსოლურად საზოგადოებრივ სივრცეში შეჭრის შემთხვევაში წარმოდგენილი იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ

ქონების მართვის სააგენტოს თანხმობა;
3. წარმოდგენილი იქნეს ხაზობრივი ნაგებოების მესაკუთრეთა პოზიცია სადემონაჟო სამუშაოებთან დაკავშირებით;
4.საჭიროა წარმოდგენილ იქნეს მესაკუთრის მიერ განმცხადებლის სახელზე გაცემული მინდობილობა.
გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

აქვე გაცნობებთ, არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე სრულად ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს.
იმ შემთხვევაში თუ თქვენი მხრიდან არ მოხდება სამსახურის მიერ დადგენილი ხარვეზების სრულყოფილად გამოსწორება და მოთხოვნილი დოკუმენტაციის სრულყოფილი სახით წარმოდგენა, აღნიშნული განაცხადი დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.